გარანტორი: _____

მისამართი: _____, საქართველო

ბენეფიციარები: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ს/კ 404391975; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ს/კ 206237491;

პრინციპალი: _____

გარანტიის ოდენობა: 1,500.000 (ერთიმილიონ ხუთასიათასი) ლარი;

მოქმედების ვადა: 19 მარტი, 2020 წ.

გარანტიის ნომერი N. _____

მოცემული საბანკო გარანტია წარმოადგენს პრინციპალის _____ მიერ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ 100% - იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფას.

ბენეფიციარების მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ როგორც გარანტორები, ვიძლევით უპირობო და გამოუთხოვად გარანტიას გადაგიხადოთ თანხა, რომელიც არ აღემატება 1,500.000 (ერთიმილიონ ხუთასიათასი) ლარს (შემდგომში მაქსიმალური ოდენობა) პრინციპალის მიერ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ 100% - იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველსაყოფად.

(1) თანხის ანაზღაურება მოხდება 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში, ნებისმიერი ოდენობის ფარგლებში, რომელიც არ აღემატება მაქსიმალურ ოდენობას, მიუხედავად კომპანიის ან სხვა რომელიმე სხვა პირის მოთხოვნის/წინააღმდეგობისა.

(2) თქვენი მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი ფორმის, კანონით დადგენილი წესით ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, სადაც პირდაპირ უნდა იყოს მითითებული მოთხოვნილი თანხის ოდენობა და ის გარემოებები, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული თანხის მოთხოვნა. მოთხოვნას უნდა დაერთოს გარანტიის ასლი. აღნიშნული გარანტიის ფარგლებში ნებისმიერი ოდენობით თანხის მოთხოვნა უნდა გაგზავნილ იქნას სათაო ოფისში: სს _____ _____ თბილისი, საქართველო

(3) ნებისმიერი მოთხოვნილი თანხის ოდენობა უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი მიმდინარე თუ მომავალი შემცირებისგან, მათ შორის ნებისმიერი გადასახადი, მოსაკრებელი, საფასური, ბაჟი, საკომისიო ან ზოგადად გადასახადი რა სახით და ვის მიერაც არ უნდა იყოს მოთხოვნილი.

(4) წინამდებარე გარანტია ძალაშია 2020 წლის 19 მარტის ჩათვლით.

(5) აღნიშნული გარანტიის სხვა პირებისადმი გადაცემა დაუშვებელია.

წინამდებარე გარანტიის შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- ✓ გარანტიის მოქმედების ვადის გასვლით;

- ✓ გარანტორის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გარანტიის ოდენობის სრულად გადახდით;

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ნებისმიერ დავას რომელიც წარმოიშობა ან/და დაკავშირებულია გარანტიის საგანთან, განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

პატივისცემით,